საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

თებერვალი, 2026

01

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

MOBIL OIL AUSTRALIA-ს მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისთვის 16 მილიონი დოლარის ჯარიმა დაეკისრა

ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ, კომპანია Mobil Oil Australia Pty Ltd-ს მომხმარებელთა შეცდომაში შემყვანი განცხადებების გავრცელებისთვის 16 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება მიღებულია ავსტრალიის მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევის საფუძველზე.

საქმის მასალების მიხედვით, 2020 წლის აგვისტოდან 2024 წლის ივლისამდე პერიოდში კომპანიამ ჩრდილოეთ და ცენტრალური კუინსლენდის ცხრა ავტოგასამართ სადგურზე

მომხმარებლებს აცნობა, რომ რეალიზებული საწვავი იყო „Mobil Synergy Fuel“, რომელიც სპეციალურ დანამატებს შეიცავდა. ფაქტობრივად, აღნიშნულ სადგურებზე ასეთი საწვავი არ იყიდებოდა და მიწოდებული პროდუქტი არსებითად არ განსხვავდებოდა დანამატების არმქონე ჩვეულებრივი საწვავისგან.

შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია ვრცელდებოდა სარეკლამო ბანერების, ბრენდინგისა და საინფორმაციო ნიშნების საშუალებით, სადაც ხაზგასმული იყო საწვავის ტექნოლოგიური უპირატესობები და ძრავის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სარგებელი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანიას ასევე დაევალა განმარტებითი განცხადებების გამოქვეყნება, მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობის პროგრამის დანერგვა და მარეგულირებელი ორგანოს სასამართლო ხარჯებში მონაწილეობა.

საქმე აღძრული იყო ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისიის (ACCC) მიერ. კომპანია Mobil Oil Australia-მ პასუხისმგებლობა აღიარა და გამოძიების პროცესში მარეგულირებელთან ითანამშრომლა.

წყარო:

01

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ eDREAMS 9 მილიონი ევროთი დააჯარიმა არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის გამო

იტალიის კონკურენციის უწყებამ ონლაინ ტურისტული პლატფორმის ოპერატორი კომპანიები **Vacaciones eDreams S.L., eDreams International Network S.L. და eDreams S.r.l.** არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკების გამოყენებისთვის საერთო ჯამში 9 მილიონი ევროთი დააჯარიმა.

უწყების ინფორმაციით, კომპანიები ავიაბილეთებისა და განთავსების მომსახურებების

შეთავაზების პროცესში, საკუთარი ვებსაიტისა და მობილური აპლიკაციის მეშვეობით, იყენებდნენ მომხმარებელზე ზემოქმედების მანიპულაციურ ციფრულ ტექნიკებს (ე.წ. dark patterns), რაც მიზნად ისახავდა მომხმარებელთა Prime სერვისზე გამოწერას და გამოწერის შენარჩუნებას, ზოგ შემთხვევაში მათი სრულად ინფორმირების გარეშე.

საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მომხმარებლებს მიეწოდებოდათ არასრული, არაზუსტი და ორაზროვანი ინფორმაცია Prime გამოწერის პირობებსა და სარგებელთან დაკავშირებით. ასევე გამოყენებული იყო დროის შეზღუდვისა და ხელოვნური დეფიციტის ეფექტის ტექნიკები, რაც მომხმარებლებს აჩქარებული გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებდა და Prime სერვისის გამოწერისკენ მიმართავდა. დამატებით გამოვლინდა შეცდომაში შემყვანი განცხადებები ფასდაკლებებთან დაკავშირებით და არასაკმარისი გამჭვირვალობა ფასთა განსხვავებების არსებობის თაობაზე, რაც დამოკიდებული იყო მომხმარებლის მიერ ვებსაიტზე პირდაპირ შესვლაზე, მეტაძიების პლატფორმების გამოყენებაზე ან Prime გამოწერის სტატუსზე.

უწყებამ ასევე დაადგინა, რომ მომხმარებელთა არჩევანის თავისუფლება იზღუდებოდა წინასწარ შერჩეული, შედარებით ძვირადღირებული გამოწერის პაკეტის **Prime Plus** შეთავაზებით. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევებში მომხმარებლები, რომლებიც უფასო საცდელი პერიოდის პირობებს არ აკმაყოფილებდნენ, მაინც იყვნენ აღნიშნული შეთავაზებისკენ მიმართულნი, რის შემდეგაც მათ წინასწარი სათანადო ინფორმირების გარეშე ერიცხებოდათ წლიური გამოწერის საფასური.

აღნიშნული ქმედებები შეფასდა როგორც შეცდომაში შემყვანი და აგრესიული კომერციული პრაქტიკა, რაც არღვევს მომხმარებელთა კოდექსს, ამ დარღვევებისთვის კომპანიებს დაეკისრათ 6 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა.

გარდა ამისა, უწყებამ დაადგინა, რომ კომპანიები მომხმარებლებს აფერხებდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებაში როგორც საცდელი პერიოდის დასრულებამდე, ისე Prime გამოწერის მოქმედების პერიოდში. აღნიშნული ხორციელდებოდა მომხმარებელთა შენარჩუნების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით, მათ შორის მომხმარებელთა მომსახურების არხების მეშვეობით. აღნიშნული პრაქტიკა ასევე შეფასდა აგრესიულ კომერციულ ქმედებად, რის გამოც კომპანიებს დამატებით დაეკისრათ 3 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა.

წყარო:

02

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ კომპანია დისკრიმინაციული პრაქტიკის გამო 800 000 ევროთი დააჯარიმა



იტალიის კონკურენციის უწყებამ კომპანია **Agos Ducato SpA** IBAN-ის დისკრიმინაციული პრაქტიკის გამო 800,000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა. გადაწყვეტილება მიღებულია გამოძიების საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის რეგულაციის შესაბამისად განხორციელდა.

უწყების შეფასებით, 2014-2023 წლებში კომპანია უარს აცხადებდა იტალიის ფარგლებს გარეთ გაცემული SEPA IBAN-ის გამოყენებით პირდაპირი დებეტის (direct debit) გადახდების მიღებაზე ან მათ მიღებას იტალიაში გაცემულ IBAN-ებთან შედარებით უფრო დამაბრკოლებელი პირობებით ახორციელებდა. აღნიშნული პრაქტიკა ეწინააღმდეგება SEPA რეგულაციით განსაზღვრულ თანაბარი მოპყრობის პრინციპს.

SEPA რეგულაციის მე-9 მუხლი ავალდებულებს გადახდის მიმღებებს მიიღონ ნებისმიერი SEPA ქვეყნის IBAN-ი ანგარიშის ადგილმდებარეობის მიუხედავად, ისე რომ საზღვარგარეთული გადახდები იმავე პირობებით განხორციელდეს, როგორც შიდა გადახდები. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება როგორც საბანკო გადარიცხვებზე, ისე ევროში განხორციელებულ პირდაპირი დებეტის ოპერაციებზე.

IBAN-ის საფუძველზე დისკრიმინაცია ბარიერს ქმნის ევროპის ერთიანი ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, ვინაიდან ზღუდავს ფინანსური მომსახურებების თავისუფალ გადაადგილებას და აფერხებს ერთიანი გადახდების სივრცის განვითარებას. რეგულაციის მიზანია SEPA სივრცეში გადახდების ჰარმონიზაცია, მომხმარებელთა არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა და იმ პრაქტიკული ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც მომხმარებლებს ხელს უშლის იმ ქვეყნის საბანკო ანგარიშის გამოყენებაში, სადაც მათ სურთ საქონლის ან მომსახურების შეძენა.

წყარო:

01

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

პოლონეთის უწყებამ HBO EUROPE-ის წინააღმდეგ მომხმარებელთა ინტერესების შესაძლო დარღვევის საქმეზე მოკვლევა დაიწყო

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყების (UOKiK) პრეზიდენტმა კომპანია **HBO Europe-ის** წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

საქმე ეხება სერვისთან თავსებადი მოწყობილობების ჩამონათვალის ცვლილებას, ტექნიკური მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკას და იმ შემთხვევებს, როდესაც მომხმარებლებს გამოწერის მოქმედების პერიოდში სერვისზე წვდომა შეუწყდათ.

უწყება ასევე აფასებს პირობებს, რომელთა მიხედვითაც კომპანია არ იძლევა გარანტიას, რომ სერვისი მთელი გამოწერის პერიოდში თავსებადი დარჩება იმ მოწყობილობებთან, რომლებიც ხელშეკრულების დადების დროს მხარდაჭერილი იყო. მსგავსი პრაქტიკა შესაძლოა მომხმარებლებისთვის დამატებითი ხარჯებისა და ეკონომიკური ზიანის რისკს ქმნიდეს.

მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა წლიური ბრუნვის 10%-მდე ოდენობით, ასევე დარღვევის შედეგების აღმოფხვრის ვალდებულება.

წყარო:

02

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

პოლონეთის უწყებამ META PLATFORM-ის წინააღმდეგ მომხმარებელთა ინტერესების შესაძლო დარღვევის საქმეზე მოკვლევა დაიწყო

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყების (UOKiK) პრეზიდენტმა კომპანია **Meta Platforms Ireland Ltd.**-ის წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

საქმე ეხება მომხმარებლებისთვის ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების უზრუნველყოფის საკითხს. უწყების შეფასებით, Facebook-ისა და Instagram-ის მომხმარებლებს პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში მაგალითად, ანგარიშზე წვდომის დაკარგვის, ანგარიშის გატეხვის ან გადახდებთან დაკავშირებული საკითხების დროს კომპანიასთან კომუნიკაცია ძირითადად მხოლოდ ონლაინ ფორმების მეშვეობით შეუძლიათ, რაც ეფექტიანი და დროული კომუნიკაციის შესაძლებლობას ზღუდავს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დისტანციური ხელშეკრულების დადებისას კომპანიები ვალდებულნი არიან მომხმარებლებს მკაფიო და გასაგები ფორმით მიაწოდონ ინფორმაცია ეფექტიანი საკონტაქტო საშუალებების შესახებ, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

დარღვევის დადასტურების შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა წლიური ბრუნვის 10%-მდე ოდენობით, ასევე დარღვევის შედეგების აღმოფხვრის შესაბამისი ვალდებულებები.

[წყარო:]

03

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია

პოლონეთის ელექტრონიკის ბაზარზე შესაძლო შეთანხმებული ქმედებების საკითხზე წინასწარი მოკვლევა დაიწყო

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის უწყებამ (UOKiK) ელექტრონიკის ბაზარზე კონკურენციის შესაძლო შემზღუდავი შეთანხმებების საკითხზე წინასწარი მოკვლევა დაიწყო. აღნიშნულის ფარგლებში, სასამართლოს ნებართვით, განხორციელდა ელექტრონიკის უმსხვილესი საბითუმო

დისტრიბუტორებისა და ერთ-ერთი მწარმოებლის ოფისებში შემოწმება.

უწყება სწავლობს, შესაძლოა თუ არა სხვადასხვა ბრენდის IT, აუდიო/ვიდეო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაციასთან დაკავშირებით არსებობდეს შეთანხმებული ქმედებები. სავარაუდო შეთანხმება შესაძლოა მოიცავდეს სავაჭრო ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს - მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის, საბითუმო დისტრიბუტორებსა და საცალო მოვაჭრეებს შორის, მათ შორის ონლაინ პლატფორმებს შორის.

თუ შეგროვებული მტკიცებულებები კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმების არსებობას დაადასტურებს, უწყება დაიწყებს ანტიმონოპოლიურ სამართალწარმოებას. ასეთ შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა წლიური ბრუნვის 10%-მდე ოდენობით.

ამასთან, უწყება მონაწილე კომპანიებს ახსენებს თანამშრომლობის პროგრამის შესახებ, რომელიც კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებაში მონაწილე პირებს თანამშრომლობის სანაცვლოდ ჯარიმის შემცირების ან თავიდან აცილების შესაძლებლობას აძლევს.

წყარო:

01

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

საბერძნეთის კონკურენციის კომისიის კვლევითი საქმიანობა აგროსასურსათო სექტორში

საბერძნეთის კონკურენციის კომისიის საქმიანობაში აგროსასურსათო სექტორი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნული სფერო ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა კეთილდღეობასა და სოციალურ სტაბილურობაზე, განსაკუთრებით ინფლაციური ზეწოლის, გლობალური მიწოდების ჯაჭვების შეფერხებების, გეოპოლიტიკური არასტაბილურობისა და კლიმატის ცვლილების პირობებში.

კომისიის საქმიანობა ამ მიმართულებით მოიცავს ბაზრების კვლევასა და სექტორულ ანალიზს, კონკურენციის პოლიტიკის ხელშეწყობას (advocacy) და კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებას, მათ შორის ანტიკონკურენტული შეთანხმებებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ

შესაბამისი რეაგირების ღონისძიებებს, ასევე საწარმოთა კონცენტრაციების პრევენციულ კონტროლს.

კომისიამ გამოაქვეყნა აგროსასურსათო სექტორში განხორციელებული უახლესი კვლევითი საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპს, პირველადი წარმოებიდან და ნედლეულის მიწოდებიდან (მათ შორის ცხოველთა საკვები და ვეტერინარული პრეპარატები) გადამუშავებასა და საბოლოო საცალო რეალიზაციამდე. კვლევის მიზანია ფასების ფორმირების მექანიზმების ანალიზი, ბაზრის სტრუქტურის შეფასება და კონკურენციული გარემოს თავისებურებების იდენტიფიცირება.

2025 წლის დეკემბერში კომისიამ ასევე დაიწყო აგროსასურსათო სექტორში კონკურენციის მდგომარეობის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვის ყველა ეტაპს სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან საკვების საცალო ვაჭრობამდე. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს კონკურენციის შესაძლო შეზღუდვების, სტრუქტურული გამოწვევებისა და რეგულირების საკითხების გამოვლენას.

ამასთან, კომისიამ გამოაქვეყნა კონკურენციის სახელმძღვანელო აგრარული სექტორისთვის, რომელიც პრაქტიკული რეკომენდაციებისა და მაგალითების საფუძველზე განმარტავს თავისუფალი კონკურენციის წესებს, არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის რეგულირებას და კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

კომისიის კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა ავსებს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებას. ბოლო წლებში კომისიამ განახორციელა არაერთი შემოწმება და მიიღო გადაწყვეტილებები 20-ზე მეტ მნიშვნელოვან სასურსათო და აგრარულ ბაზართან დაკავშირებით, რაც მიმართულია კონკურენციის გაძლიერების, ბაზრის გამჭვირვალობის ზრდისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვისკენ.

წყარო:

01

თურქეთის კონკურენციის უწყება

მოკვლევა კოსმეტიკის სექტორში ოპერირებადი კომპანიების წინააღმდეგ

თურქეთის კონკურენციის უწყება იწყებს მოკვლევას კომპანიების **Carex Bitkisel Ürünler ve Kozmetik Sanayi Ticaret AŞ**, **Farma Plus İlaç Bant Sağlık ve Kozmetik Ürünleri Sanayi Ticaret Ltd.**

Şti. და **Digital Farma İlaç Sanayi ve Ticaret Ltd. Şti.** წინააღმდეგ.მოკვლევა შეეხება კონკურენციის დაცვის კანონის შესაძლო დარღვევებს, კერძოდ რეალიზაციის ფასების დადგენასა და ინტერნეტით გაყიდვების შეზღუდვას.

კონკურენციის საბჭომ წინასწარი მოკვლევის მონაცემები განიხილა და მიიჩნია, რომაუცილებელია მოკვლევის დაწყება აღნიშნული კომპანიების საქმიანობის შესახებ.

[წყარო:]

01

ლიეტუვის მომხმარებლთა დაცვის სახელმწიფო უწყება

VVTAT 2026 წლის მონიტორინგის პრიორიტეტებს ასახელებს

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისა და სამართლიანი ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამსახურმა (SCPS) დაამტკიცა ეკონომიკური სუბიექტების მონიტორინგის 2026 წლის გეგმა. პრიორიტეტული მიმართულებები განისაზღვრა მომხმარებელთა საჩივრების ანალიზის, რისკების შეფასების, რეგულაციური ცვლილებებისა და ბაზრის მიმდინარე ტენდენციების საფუძველზე.

2026 წელს მონიტორინგი ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს: რეკლამას, არაკეთილსინდისიერ კომერციულ პრაქტიკას, მომხმარებელთა ხელშეკრულებების პირობებსა და დისტანციურ ვაჭრობას. პროცესის მიზანია არა მხოლოდ კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, არამედ ბიზნესისთვის რეკომენდაციების მიწოდება, დარღვევების პრევენცია და სამართლიანი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა.

რეკლამის მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამკაულების სექტორს და შეფასდება, რამდენად შეესაბამება სარეკლამო კომუნიკაცია ლიტვის რესპუბლიკის შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებს.

არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის მიმართულებით შეფასდება ტურისტული და რეკრეაციული მომსახურების სექტორი, მათ შორის მომხმარებლებისთვის ფასების, მომსახურების პირობებისა და გადახდის წესების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა.

ხელშეკრულებების მონიტორინგი შეეხება ავეჯის შეკვეთასთან დაკავშირებულ სტანდარტულ კონტრაქტებს, რათა გამოირიცხოს მომხმარებელთა უფლებების არაგონივრული შეზღუდვა.

დისტანციური ვაჭრობის ნაწილში პრიორიტეტად განისაზღვრა წიგნებისა და სხვა გამოცემების ელექტრონული კომერციის სექტორი, სადაც შეფასდება ფასებისა და ფასდაკლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა.

VVTAT მოუწოდებს ეკონომიკურ სუბიექტებს აქტიური თანამშრომლობისკენ, რაც ხელს შეუწყობს ბაზრის გამჭვირვალობას, სამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის დამკვიდრებასა და მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებას.

წყარო:

01

BUNDESKARTELLAMT

გერმანიის ფედერალურმა კარტელების სამსახურმა AMAZON-ს ფასების კონტროლის მექანიზმების გამოყენება აუკრძალა

გერმანიის ფედერალურმა კარტელების სამსახურმა Amazon.com Inc.-სა და Amazon EU S.à r.l.-ს აუკრძალა გერმანიის Amazon Marketplace-ზე მესამე პირი მოვაჭრეების ფასების პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა ე.წ. ფასების კონტროლის მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება დასაშვები იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მათ შორის ფასების არაგონივრული ზრდისას, და მხოლოდ უწყების მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

Amazon-ის პლატფორმა amazon.de გერმანიის ონლაინ ვაჭრობის ერთ-ერთ უმსხვილეს არხს წარმოადგენს და ქვეყნის ონლაინ გაყიდვების დაახლოებით 60%-ს მოიცავს. პლატფორმაზე რეალიზებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებელი გამყიდველების მიერ იყიდება, რომლებიც ფასებს თავად განსაზღვრავენ და შესაბამის კომერციულ რისკებსაც თავად იღებენ.

უწყების შეფასებით, ფასების კონტროლის არსებული პრაქტიკა, მათ შორის შეთავაზებების ხილვადობის შეზღუდვა ან პლატფორმიდან ამოღება შესაძლოა ზღუდავდეს გამყიდველების კონკურენტულ შესაძლებლობებს და უარყოფითად აისახებოდეს ბაზრის კონკურენტულ გარემოზე. აღნიშნული ქმედება შეფასდა როგორც დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენება გერმანიის კონკურენციის კანონმდებლობისა და ევროკავშირის სამართლის შესაბამისად.

გარდა ამისა, უწყებამ პირველად გამოიყენა 2023 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც Amazon-ს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებით მიღებული ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივი ჩამორთმევა, დაახლოებით 59 მილიონი ევროს ოდენობით დაეკისრა.

გადაწყვეტილება ამ ეტაპზე საბოლოო სამართლებრივ ძალაში არ შესულა და კომპანიას მისი გასაჩივრება ერთთვიან ვადაში შეუძლია.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა იტალიის, გერმანიის, თურქეთის, პოლონეთის, საბერძნეთის, ავსტრალიის და ლიეტუვის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"